განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია, საქართველოსა და ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარის მე-9 თავით (ინტელექტუალური საკუთრების უფლებები) გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად აღებული ვალდებულების შესრულების აუცილებლობა და საქართველოს კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია, საქართველოსა და ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარის მე-9 თავის მესამე ნაწილით (ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება) გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების ხელყოფის პრევენციის, აღკვეთისა და ადეკვატური სანქციების გატარების იმ სამართლებრივი მექანიზმების სრულად განსაზღვრა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, ან აღნიშნული უფლებების სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს განსხვავებულ საპროცესო რეგულირებას. წარმოდგენილი ცვლილების პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო-სამართლებრივი კუთხით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების ეფექტურ აღსრულებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მეშვიდე კარის დამატებას, რომლითაც განისაზღვრება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განსაკუთრებული უფლებების დარღვევის საქმეებზე სამართალწარმოების თავისებურებანი.

ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, წარმოდგენილი კარის პროექტში გათვალისწინებული თავის - „ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განსაკუთრებული უფლებების დარღვევის საქმეებზე მტკიცებულებათა უზრუნველყოფის, ინფორმაციის მიღებისა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თავისებურებანი“ მიზნებისათვის, განისაზღვრა შემდეგი ტერმინები:

„ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები“, რომელშიც მიეთითა, რომ ტერმინი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცულ სასაქონლო ნიშანს, კოლექტიურ ნიშანს, რეგისტრირებულ დიზაინს, პატენტით დაცულ გამოგონებას და სასარგებლო მოდელს, ან საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცულ ობიექტებს;

,,განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული და/ან სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონელი“. ვინაიდან აღნიშნული ტერმინი შეეხება ინტელექტუალური საკუთრების ზემოაღნიშნულ ობიექტებს, მათი თავისებურებებიდან გამომდინარე,

ტერმინის განმარტებაში დაკონკრეტდა მისი მნიშვნელობა თითოეული მათგანისათვის.

ასოცირების შეთანხმების 192-ე-194-ე მუხლების შესაბამისად, კანონპროექტით, ასევე, გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა და სარჩელის უზრუნველყოფის, ინფორმაციის მიღების და გადაწყვეტილების აღსრულების საპროცესო ღონისძიებები. კერძოდ: მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს საქონლის, რომლითაც სავარაუდოდ ირღვევა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები, ასევე, მის დასამზადებლად განკუთვნილი დანადგარების/მასალების ან/და სავარაუდო კანონდარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დეტალურ აღწერას, ნიმუშის აღებით ან მის გარეშე, ან/და ყადაღის დადებას. თუ აღნიშნული ღონისძიებების გამოყენებით ვერ ხერხდება მტკიცებულებების უზრუნველყოფა, შესაძლებელია ასევე, გამოყენებულ იქნეს ყადაღის დადება. კანონპროექტი ასევე, აზუსტებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნული რამდენიმე ღონისძიება გამოიყენოს ერთდროულად.

ამასთან, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ განსაკუთრებული უფლების მქონე პირს მიადგება არაპროპორციული ზიანი ან/და თუ სახეზეა მტკიცებულებათა განადგურების აშკარა საშიშროება, სასამართლო უფლებამოსილია მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენოს იმ პირის მოსმენის გარეშე, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ. აქვე, ზუსტდება, რომ პირს, რომლის მიმართ უნდა გატარდეს აღნიშნულ ღონისძიებები, ამის შესახებ უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ, ღონისძიებების გამოყენების შემდეგ.

კანონპროექტით ასევე, განისაზღვრება ინფორმაციის მიღების უფლების შესახებ მუხლი. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს განსაკუთრებული უფლების მფლობელის სამართლიანი და დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს უფლებამოსილებას მოსთხოვოს მოპასუხეს ან იმ პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მან დაარღვია განსაკუთრებული უფლებები, ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს განსაკუთრებული უფლების დარღვევით წარმოებული და/ან სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული საქონლის წარმოშობის ან/და გასაღების ქსელის შესახებ ინფორმაციას. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შეიძლება, ასევე, მოიცავდეს კანონდარღვევასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებას. აღნიშნული ვალდებულება ასევე, შესაძლებელია გავრცელდეს იმ პირზე, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი, კომერციული მასშტაბით სთავაზობდა, იღებდა, ფლობდა, ან/და იყენებდა საქონელს. ასევე, სხვა ნებისმიერ პირზე, რომელიც ახორციელებს მსგავს ქმედებებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედებები ხორციელდება პირადი სარგებლობის მიზნით.

კანონპროექტით ასევე, დეტალურად განისაზღვრება, თუ რას უნდა მოიცავდეს აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, პროექტში მითითებულია, რომ ღონისძიებების გამოყენების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება.

რაც შეეხება, საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ მუხლს, აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანას იმ პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ან/და მოძრავი ქონების, მათ შორის საბანკო ანგარიშებისა და სხვა აქტივებზე ყადაღის დადების შესახებ, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი განსაკუთრებული უფლების კომერციული მასშტაბით დარღვევის შესახებ, თუ შესაძლებელია საფრთხე შეექმნას განსაკუთრებული უფლების მქონე პირის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ მიზნით, განსაკუთრებული უფლების მფლობელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო განსაკუთრებული უფლების შესაძლო დამრღვევისგან გამოითხოვს მის მფლობელობაში არსებულ საბანკო, ფინანსურ ან/და კომერციულ დოკუმენტებს/ინფორმაციას, აღნიშნული დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია ყადაღის საგნის იდენტიფიცირების მიზნით მიღებული დოკუმენტები/ინფორმაცია გადასცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ ექსპერტს. გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია აუკრძალოს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ, განსაკუთრებული უფლებების დამრღვევი ქმედებების განხორციელება, ან მოსთხოვოს შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება გათვალისწინებულია ასევე, იმ პირის მიმართ, რომლის მომსახურება გამოიყენება ან გამოიყენებოდა კომერციული მასშტაბით განსაკუთრებული უფლების დარღვევისათვის.

ამასთან, ცვლილებებით გათვალისწინებულია, რომ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით ზარალი შეიძლება მიადგეს პირს, რომლის მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი განსაკუთრებული უფლების დარღვევის შესახებ, შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და, იმავდროულად, მოსთხოვოს განსაკუთრებული უფლების მფლობელს, მოწინააღმდეგე მხარისთვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. სასამართლომ უზრუნველყოფის გარანტია შეიძლება გამოიყენოს, ასევე, მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტი არ მოითხოვს ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფო არ იღებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არანაირი გადასახადი, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი არ არის განსაზღვრული.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.